

ფინანსური ტექნოლოგიები საბანკო-საფინანსო სექტორის ციფრული ტრანსფორმაციისთვის

თინათინ გუგეშაშვილი

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*

ირინე კოპალიანი

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონვეული სპეციალისტი,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი*

თამთა ჩაგანავა

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების
საბაკალავრო პროგრამის მეოთხე კურსის სტუდენტი*

რეზიუმე

ფინანსური ტექნოლოგიები ყოველდღიურად უფრო და უფრო მეტად ვითარდება და დიდ როლს თამაშობს სამეწარმეო სფეროს განვითარებაში, რითიც განპირობებულია ამ საკითხის აქტუალობა.

სამეცნიერო ნაშრომში განხილულია ფინანსური ტექნოლოგიების შესაძლებლობები და ასევე, ის გამოწვევები, რომლებიც თან ახლავს მათ საბანკო-საფინანსო სფეროში. ფინანსური ტექნოლოგიები ხელს უწყობს ფინანსური სერვისების მიწოდების გაუმჯობესებასა და ავტომატიზაციას, თუმცა ამ ყველაფერს თან ახლავს გარკვეული საფრთხეები და გამოწვევები. სწორედ ფინანსური ტექნოლოგიების დადებითი და უარყოფითი მხარეები, მისი საფრთხეები და შესაძლებლობები გვაქვს განხილული ჩვენს სამეცნიერო კვლევაში.

კვლევის შედეგადად გამოვავლინეთ ფინანსური ტექნოლოგიების განვითარების გზები და დაგვახმეთ სტრატეგიები, რომლითაც შესაძლებელია მისი საფრთხეების შესუსტება და ეფექტურად გამოყენება საბანკო და საფინანსო მიმართულებით.

FINANCIAL TECHNOLOGIES FOR THE DIGITAL TRANSFORMATION OF BANKING AND FINANCIAL SECTOR

Tinatin Gugeshashvili –

*PhD in Economics, Associate professor of Akaki
Tsereteli State University*

Irine Kopaliani –

PhD of Akaki Tsereteli State University

Tamta Chaganava –

student of Akaki Tsereteli State University

RESUME

Financial technologies are developing day to day and they play an important role in the developing of en-

trepreneurial sector. So, this is what makes this subject that popular.

In this scientific work we discuss technologies' possibilities and challenges which in the banking and financial sector.

Financial technologies are crucial for developing and automation the financial services' delivery, but all these include some threats and challenges. The pros and cons, possibilities and threats of financial technologies are shown and discussed in our scientific research.

As the result of the research we found out the ways of development of the financial technologies and we made some strategies with which we can decrease the threats and effectively use them in banking and finances.

* * * *

კვლევის მიზანი: გამოიკვლიოს და მიმოიხილოს ფინანსურ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული შესაძლებლობები და საფრთხეები საბანკო-საფინანსო სექტორში, მისი განვითარების გზები და სტრატეგიები მასთან დაკავშირებული საფრთხეების შესამცირებლად.

კვლევის მეთოდები: სფეროს სპეციალისტთა ნაშრომების ანალიზის, სტატისტიკისა და კვლევათა დამუშავებისა და გამოკითხვის ჩატარების, შემდგომში მისი შედეგების სტატისტიკის ანალიზის საფუძველზე ჩამოვყალიბეთ ის ძირითადი გზები და კონცეფციები, რაც ფინანსური ტექნოლოგიების განვითარებასა და საბანკო-საფინანსო სექტორის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში მის ეფექტურ გამოყენებას უკავშირდება.

კვლევის შედეგები: კვლევაში ფორმულირებულ იქნა მექანიზმები და სტრატეგიები ფინანსური ტექნოლოგიები მოდელის და ზოგადად, ფინანსური ტექნოლოგიების ინდუსტრიის დასახვეწად, მისი გაუმჯობესებისა და უსაფრთხოების ზრდისათვის, რაც ხელს შეუწყობს საბანკო-საფინანსო სფეროს განვითარებასა და მდგრადობას.

სამეცნიერო სიახლე: ფინანსური ტექნოლოგიების სისტემების გაუმჯობესება პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენებით, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა ჩართულობით, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ამ კუთხით და მეტი ადამიანის მიერ ფინანსური ტექნოლოგიების გამოყენება ხელს შეუწყობს ამ ინდუსტრიის უმაღლეს საფეხურზე აყვანას. არსებული მდგომარეობით კი საბანკო სფეროში მზარდი ფინანსური ტექნოლოგიების ინდუსტრია ძალზე ეფექტური და დადებითი შედეგების მომტანია ეკონომიკისათვის, კონკრეტული დარგისთვის და მთლიანად ბიზნეს ეკოსისტემის განვითარებისათვის.

საკანდიდო სიტყვები: ფინანსური ტექნოლოგიები, ავტომატიზაცია, საბანკო-საფინანსო სექტორი.

ფინანსური ტექნოლოგიების განვითარება ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში იწყება. 21-ე საუკუნე კი უკვე საბანკო სისტემის გაციფრულებით დაიწყო და პროგრესი დღემდე მიმდინარეობს სხვადასხვა მიმართულებით. როგორც ცნობილია, 2009 წელს გამოჩენილმა კრიპტოაქტივებმა უდიდესი წვლილი შეიტანა საფინანსო ეკოსისტემაში ტექნოლოგიების უფრო აქტიურად გამოყენების საკითხში. თანდათანობით განვითარდა ისეთი ფინანსური ტექნოლოგიების მოდელები, როგორებიცაა: ციფრული საფულეები, სქორინგ სისტემები და ა.შ.

ფინანსურ ტექნოლოგიებს მრავალი დადებითი მხარე აქვს, მათ შორის:

- აუმჯობესებს ფინანსურ ინფრასტრუქტურას;
- რისკ მენეჯმენტს ხდის მეტად ეფექტურს;
- აფართოებს ფინანსური სერვისების ხელმისაწვდომობას;

- ხელმისაწვდომია დაბალ ფასად;

• ზრდის კონკურენციას, რაც მომხმარებელს მრავალფეროვან არჩევანს სთავაზობს;

• მომხმარებელზე მორგებული პროდუქცია. ფინანსური ტექნოლოგიები იყენებს სხვადასხვა ანალიტიკურ მოდელს, რისი საშუალებითაც შესაძლებელია თითოეულ მომხმარებელს მასზე მორგებული პროდუქტი მიენდოს.

ფინანსური ტექნოლოგიების უარყოფით მხარედ შეიძლება ჩავთვალოთ:

- კიბერ თავდასხმის რისკი, მონაცემების გაფონვის რისკი;

• ადამიანური რესურსის ნაკლებად ჩართულობა. ფინანსური ტექნოლოგიები შეიძლება მისაღების ალტერნატივა არ იყოს იმ ადამიანისთვის, რომელიც ადამიანურ რესურსთან კომუნიკაციას ამჯობინებს, როცა საქმე მის ფინანსებს ეხება;

• ლიმიტირებული პროდუქტები. ფინანსური ტექნოლოგიების მომსახურება ხშირად არ მოიცავს ყველა იმ პროდუქტს, რასაც ტრადიციული საფინანსო ინსტიტუტები სთავაზობს მომხმარებელს, რაც

მათ აიძულებს ერთდროულად სხვადასხვა პროვაიდერის მომსახურების გამოყენებას;

• რეგულაციის ნაკლებობა. ფინანსური ტექნოლოგიების ინდუსტრია ჯერ კიდევ სიახლეს წარმოადგენს, ამიტომ მისი ბოლომდე რეგულირება გარკვეულ დროსა და დანახარჯებთანაა დაკავშირებული.

რაც შეეხება ფინანსური ტექნოლოგიების შესაძლებლობებს:

- ბევრად ეფექტური იქნება ინტერნეტ სერვისების ფასების შემცირება;

• მცირე და განვითარებად ქვეყნებში ტექნოლოგიების გამოყენების ხარისხის ზრდა, მეტი ტექნოლოგიური შესაძლებლობის მიწოდება იქ მცხოვრებთათვის;

• ეკონომიკის სიძლიერისთვის დადებითი შედეგების მომტანი იქნება ტრადიციული ბანკინგის და ფინანსური ტექნოლოგიების მოდელების გაერთიანება და არა მათი შეპირისპირება, რაც დღესდღეობით იკვეთება;

• „იცნობდე შენს მომხმარებელს“ პოლიტიკის შემუშავება ხელს შეუწყობს სხვადასხვა რისკისგან მომხმარებელთა დაცვას.

აქვე უნდა ვახსენოთ ფინანსური ტექნოლოგიების საფრთხეებიც საფინანსო სერვისებში:

• კიბერდანაშაულმა შესაძლოა, ფინანსურ სისტემას მნიშვნელოვანი ზიანი მოუტანოს. ბევრ განვითარებად ქვეყანას პრაქტიკულად არ გააჩნია ფინანსური ტექნოლოგიების დაზღვევის მექანიზმები. ბევრი ფინანსური ტექნოლოგიების სტარტაპი ყურადღებას არ აქცევს უსაფრთხოების ზომებს ახალი პროდუქტის ბაზარზე გაშვებისას;

• არსებობს ფინანსურ ტექნოლოგიათა ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა რეგულაციის ნაკლებობის პირობებში, ფინანსებზე მარტივმა წვდომამ შესაძლოა გადაჭარბებული გახადოს სესხების რაოდენობა და გამოიწვიოს ჭარბვალიანობა;

• საფრთხე ექმნება ბაზრის კონკურენციას. სრულიად ახალმა მოთამაშეებმა ბაზარზე შესაძლოა მონოპოლიური უპირატესობაც კი მოიპოვონ;

• ბევრი ანალოგიური პროდუქტის მწარმოებელი მარტივად შეიძლება არსებობდეს ერთ ბაზარზე, რაც ართულებს ზედამხედველობას.

დღესდღეისობით ფინანსური ტექნოლოგიების ინდუსტრიაში არსებობს ბევრი ეფექტური ბიზნეს მოდელი, რომლებიც ბიზნესის ციფრულ ტრანსფორმაციას განაპირობებს და ხელს უწყობს ფინანსებისა და ტექნოლოგიების გაერთიანებას, კოლაბორაციას. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ:

საკრედიტო სქორინგ სისტემა - ის ერთ-ერთი გამორჩეულია ამ კუთხით. ის მათემატიკურ-სტატისტიკური მოდელია, რომელიც მსესხებელთა საშუალო მაჩვენებლებს ადარებს პოტენციური მსესხებლის მაჩვენებლებს მისთვის კრედიტის და-

მტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. ამ ტექნოლოგიით ბანკი ზოგავს დროსა და ადამიანურ რესურსს, პროგრამა კი თავად ფილტრავს პოტენციურ მსესხებლებს.

საგადახდო სისტემები - ისინი ონლაინ ვაჭრობისას გამოიყენება. მის მაგალითს წარმოადგენს PayPal, რომლის მეშვეობითაც პროდუქტის საფასურს უნაღდო ანგარიშსწორებით იხდის მომხმარებელი.

ციფრული საფულე - იგი მომხმარებელს საშუალებას აძლევს საკუთარი ვირტუალურად არსებული თანხების ფარგლებში განახორციელოს ტრანზაქციები როგორც ონლაინ, ისე პოსტ-ტერმინალით სარგებლობისას. ციფრული ვალუტა წარმოადგენს პროგრამულ უზრუნველყოფას, აპლიკაციას, მისი მაგალითებია: Venmo, Google Wallet და ა.შ.

ციფრული ბანკი - მისი ბიზნეს მოდელი ფიზიკურად არსებული კომერციული ბანკის მსგავსია. მისი მეშვეობით შესაძლებელია ანგარიშსწორება, თანხის სესხება, დეპოზიტის განთავსება და ა.შ.

მცირე სესხები - ეს ბიზნეს მოდელი მომხმარებელს აძლევს ვაჭრობის საშუალებას ონლაინ რეჟიმში უსწრაფესად, ბარათის დეტალების მითითების გარეშე 0 % საკომისიოთი. იგი მოიცავს იმპულსური შესყიდვის მექანიზმებს, როგორიცაა: „იყიდე ახლა, გადაიხადე მოგვიანებით“ და ა.შ.

ფინანსური ტექნოლოგიების მიმართულებით მომუშავე კომპანიები იყენებენ სხვადასხვა ინოვაციურ ტექნოლოგიას თავიანთი ფინანსური ტექნოლოგიების მოდელის დასახვეწად და კომპლექსური ოპერაციების განხორციელებისათვის. ჩვენ განვიხილეთ მათ შორის რამდენიმე:

ხელოვნური ინტელექტი და მანქანური სწავლება - იგი ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეულია. იგი ყველა ფინანსური ტექნოლოგიების აპლიკაციაშია გამოყენებული მათ შორის სქორინგ სისტემებში, თაღლითობის გამოვლენისთვის შექმნილ აპლიკაციებში და ა.შ.

მონაცემთა ანალიტიკა - მისი მეშვეობით კომპანიები უზრუნველყოფენ მომხმარებელთა შესახებ მონაცემების ანალიზს, ვინაიდან მათ ხელთ არსებულ მონაცემთა მეშვეობით შეუძლიათ დაადგინონ მომხმარებლის საინვესტიციო ქცევა, გადახდის შაბლონები და ა.შ. მათ ასევე შეუძლიათ საპროგნოზო ანალიტიკის შემუშავება.

რობოტული პროცესის ავტომატიზაცია - ეს ტექნოლოგია საშუალებას იძლევა, მოხდეს ადამიანის მიერ მექანიკურად შესასრულებელი სამუშაოს ავტომატურ რეჟიმში შესრულება.

ბლოკჩეინი - უსაფრთხოდ ინახავს ტრანზაქციათა ჩანაწერებს და სხვა სენსიტიურ ინფორმაციას. ყველა ტრანზაქცია დაშიფრულია მისი მეშვეობით და კიბერ თავდასხმის რისკი ძალიან მცირეა.

ფინანსური ტექნოლოგიების სისტემებთან და-

კავშირებით არსებობს სხვადასხვა გამოწვევა, რომელთა დაძლევისთვის შესაძლებელია შემუშავებულ იქნეს გარკვეული სტრატეგიები და მექანიზმები. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე:

ტექნოლოგიის არაადეკვატური ცოდნა ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია ფინანსური ტექნოლოგიების ინდუსტრიისათვის, ვინაიდან მომხმარებლების ნაწილს არ აქვს ტექნოლოგიებში მაღალი დონის ცოდნა და სჭირდებათ ადაპტირებული სისტემები.

გამოსავალი: ფინანსური ტექნოლოგიების კომპანიებმა მომხმარებელს მარტივი მექანიზმები უნდა შესთავაზონ, რომლის დროსაც საჭირო არ იქნება მომხმარებლის მიერ ქმედებების მექანიკურად განხორციელება, მონაცემთა შეყვანა და ა.შ. ამისთვის უნდა არსებობდეს შემდეგი საშუალებები:

- QR კოდები;
- NFC ჩიპები;
- საკრედიტო ბარათების ავტომატური სკანირება;
- ორეტაპიანი ავთენტიფიკაცია თითის ანაბეჭდით.

მომხმარებლის გამოცდილება ერთ-ერთი უმთავრესი კონცეფციაა ფინანსური ტექნოლოგიების ინდუსტრიაში. მომხმარებლებს სჭირდებათ უწყვეტი კომუნიკაცია და თავიანთი ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

გამოსავალი: მომხმარებლებისათვის უნდა არსებობდეს უსაფრთხო, ხელმისაწვდომი ტექნოლოგიური საშუალებები, რათა მათი გამოცდილება ამ კუთხით იყოს დადებითი და გამოიწვიოს მათი კმაყოფილება, ამავდროულად პირადი ინფორმაციული დეტალების მუდმივი გადამონმებით არ უნდა მოხდეს მათი გაღიზიანება და ამ კუთხით დაცული უნდა იყოს ბალანსი.

სანდოობის პრობლემა სწორედ ის საკითხია, რომელიც მუდმივად დგას დღის წესრიგში. როცა საქმე ფინანსებს ეხება, მომხმარებელს ყოველთვის უჭირს, ენდოს რაღაც ახალს და დარწმუნდეს მის უსაფრთხოებაში.

გამოსავალი: ამ კუთხით პირველხარისხოვანია მომხმარებელთა ცნობადობის ზრდა ფინანსური ტექნოლოგიების დადებით მხარეებთან დაკავშირებით და მათთვის მაქსიმალურად ბევრი ინფორმაციის მიწოდება, რათა მეტად თავდაჯერებულები იყვნენ ტექნოლოგიების გამოყენებისას.

მონაცემთა დაცვის საკითხი ასევე ძალიან აქტუალური გამოწვევაა. ფინანსური ტექნოლოგიები საკმაოდ მოწყვლადია კიბერ თავდასხმის მხრივ როგორც ფინანსური, ისე პერსონალური ინფორმაციის კუთხით.

გამოსავალი: ფინანსური ტექნოლოგიების პლატფორმებში მონაცემთა დაცულობისთვის შესაძლოა გამოყენებულ იქნას შემდეგი საშუალებები:

- დეტალური დოკუმენტაციების წარდგენა;
- ბიომეტრიული და მრავალფაქტორიანი ავტორიზაცია;

- დამიწვრული მონაცემების სისტემებით მუშაობა;

- უსაფრთხოების შეტყობინებები რეალურ დროში;

- სისტემების ინტენსიური ტესტირება.

მოცემული კვლევის ფარგლებში ჩავატარეთ გამოკითხვა, რომლისთვისაც რესპონდენტებად შეირჩა საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების 100 თანამშრომელი. გამოკითხვის მიზანი იყო, დაგვედგინა ფინანსური ტექნოლოგიების გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეები, მათი ეფექტურობა ქართულ ბანკებში.

გამოკითხვით გამოიკითხა სს „საქართველოს ბანკის“, სს „თიბისი ბანკის“, სს „ლიბერთი ბანკის“, სს „ბაზის ბანკის“, სს „პროკრედიტ ბანკის“, სს „კრედიტ ბანკის“ და სს „სილქ ბანკის“ სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებული თანამშრომლები.

ბანკებში ფინანსური ტექნოლოგიების ხარისხის, მათი ეფექტიანად გამოყენების საკითხების, ფინანსური ტექნოლოგიების სისტემათა ნაკლოვანებებისა და მათ გამოსასწორებლად დასახული გზების შესახებ ბანკების თანამშრომლებს სხვადასხვა კითხვა დავუსვით. გთავაზობთ აღნიშნული გამოკითხვის შედეგებს და შესაბამის სტატისტიკას:

კითხვა N1

რამდენად კვალიფიციური პერსონალი მუშაობს ფინანსური ტექნოლოგიების მიმართულებით თქვენს ორგანიზაციაში?

83% მიიჩნევს, რომ მის ორგანიზაციაში მუშაობს მაღალკვალიფიციური პერსონალი, 17% კი თვლის, რომ საშუალოკვალიფიციური პერსონალია დასაქმებული ფინანსური ტექნოლოგიების მიმართულებით.

კითხვა N2

რამდენად უსაფრთხოდ მიიჩნევთ თქვენი ორგანიზაციის ტექნიკურ უზრუნველყოფას?

83% კომპანიის ტექნიკურ უზრუნველყოფას მიიჩნევს უსაფრთხოდ, 15% ნაწილობრივ უსაფრთხოდ, ხოლო 3% საფრთხის შემცველად.

კითხვა N3

ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს ფინანსური ტექნოლოგიების ყველაზე მეტად საფრთხის შემცველ სისტემას?

ფინანსური ტექნოლოგიების ყველაზე მეტად საფრთხის შემცველ სისტემად საბარათო სისტემებს მიიჩნევს 35%, საგადასახადო სისტემებს-13%, ციფრულ საფულებებს-15%, 38% კი ასახელებს სხვა რაიმეს.

კითხვა N4

კომერციული ბანკის საქმიანობის რომელი მიმართულების ციფრული ტრანსფორმაცია იკვეთება ყველაზე მეტად ფინანსური ტექნოლოგიების ეკოსისტემის განვითარებასთან ერთად?

კომერციული ბანკის საქმიანობის მიმართულებებიდან ყველაზე მეტად ფინანსური ტექნოლოგიების განვითარებასთან თანაკვეთაში 55% მოიაზრებს ციფრულ ბანკინგს, 15%-საკრედიტო სარეიტინგო სისტემებს, 13%-უსაფრთხოების სისტემებს, ხოლო 18% ასახელებს სხვა რაიმეს.

კითხვა N5

როგორი გავლენა იქონია საბანკო საქმიანობაზე ფინანსური ტექნოლოგიების განვითარებამ?

გამოკითხულთა 100% მიიჩნევს, რომ ფინანსური ტექნოლოგიების განვითარებამ საბანკო საქმიანობაზე დადებითი გავლენა იქონია.

კითხვა N6

რამდენად ხშირად ახდენს თქვენი ორგანიზაცია ფინანსური ტექნოლოგიების შემოწმებას/გაუმჯობესებას?

რესპონდენტთა 83% ამბობს, რომ მისი კომპანია ხშირად ახდენს ფინანსური ტექნოლოგიების შემოწმებას/გაუმჯობესებას, 13% თვლის, რომ მისი ორგანიზაცია იშვიათად ამოწმებს/აუმჯობესებს ფინანსურ ტექნოლოგიებს, 5% კი აცხადებს, რომ მისი კომპანია არ მუშაობს ამ მიმართულებით.

კითხვა N7

რა ფორმით ახორციელებს თქვენი ორგანიზაცია ფინანსურ ტექნოლოგიათა სისტემების ტექნიკურ უზრუნველყოფას?

87% აცხადებს, რომ მისი ორგანიზაცია ფინანსური ტექნოლოგიების ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ორგანიზაციის შიგნით არსებული სპეციალური სამსახურის მეშვეობით, 10% ამბობს, რომ კომპანია შესაბამის მომსახურებას შეისყიდის კერძო ფიზიკური/იურიდიული პირებისგან, ხოლო 3% ასახელებს სხვა რაიმეს.

კითხვაზე რას მიიჩნევთ თქვენი ორგანიზაციის ფინანსური ტექნოლოგიების მიმართულების ნაკლოვანებად? გამოკითხულთა უმრავლესობა აცხადებს შემდეგს:

- ხშირი გაუმართაობა
- ნაკლებად კრეატიული და ნაკლებად კონკურენტული ინტერნეტ ბანკი
- ხელოვნური ინტელექტის (AI) ნაკლებობა
- საზოგადოების დაბალი ცნობიერების გამო შესაძლებელია ციფრულ არხებზე არასანქცირებული წვდომა
- კადრების სიმცირე

- ციფრული პროდუქტები არ არის მრავალფეროვანი
- არ არის სათანადო პროგრამული უზრუნველყოფა

რესპონდენტთა უმეტესი ნაწილი კითხვაზე **რა გზით/გზებით არის შესაძლებელი ფინანსური ტექნოლოგიების არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა?** ფინანსური ტექნოლოგიების სისტემების ნაკლოვანებათა გაუმჯობესებისათვის შემდეგ გზებს გვთავაზობს:

- ტექნიკური მხარის გაუმჯობესება
- მეტი რესურსის გამოყოფა
- ხშირი ტესტირება
- მუდმივად განვითარებაზე ორიენტირებული სიახლეების გაცნობა/იმპლემენტაცია
- მეტი პროფესიონალიზმით და არსებულ კადრთა მოტივაციით
- უფრო მეტი ხელფონური ინტელექტის დამატება რათა შესაძლებელი იყოს არასანქცირებული ნვდომის შემთხვევების იდენტიფიცირება
- მეტი თავისუფლება და სტრატეგიული ხედვა

- ორგანიზაციული აზროვნების ცვლილება
- მეტი ინვესტიციის განხორციელება ფინანსური ტექნოლოგიების მიმართულებით
- ახალი პროგრამების შექმნა და ინტეგრირება

საბოლოო ჯამში, დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფინანსური ტექნოლოგიები წარმოადგენს დიდ ინდუსტრიას, რომელიც მუდმივად ვითარდება, განვითარების მაღალ საფეხურზეა და წინ კიდევ ბევრი სიახლეა მოსალოდნელი ფინანსური ტექნოლოგიების ინდუსტრიასთან დაკავშირებით. ფინანსური ტექნოლოგიების მოდელები ეხმარება საბანკო-საფინანსო სექტორს უფრო ეფექტურად, მოქნილად მუშაობაში. არსებული პრობლემებისა და გამოწვევების კუთხით მუშაობა, სისტემების გაუმჯობესება კი ხელს შეუწყობს ამ სისტემების მეტ უსაფრთხოებასა და ეფექტურობას, რაც საბოლოოდ ფინანსურ სექტორზე დადებითად იმოქმედებს და ხელს შეუწყობს საბანკო-საფინანსო სექტორის ციფრულ ტრანსფორმაციასა და ბიზნეს ეკოსისტემაში ფინანსური ტექნოლოგიების მეტად ეფექტურ იმპლემენტაციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://thecommonwealth.org/news/blog-fintech-swot-analysis>
2. <https://www.windmill.digital/all-about-fintech-history-development-and-future/#:~:text=A%20brief%20history%20of%20fintech&text=From%201886%2D1967%20investment%20in,service%20was%20established%20in%201918>
3. <https://management.nirmauni.ac.in/fintech-the-word-to-the-world-advantages-and-disadvantages/>
4. <https://www.windmill.digital/all-about-fintech-history-development-and-future/#:~:text=A%20brief%20history%20of%20fintech&text=From%201886-1967%20investment%20in,service%20was%20established%20in%201918>
5. <https://www.airmeet.com/hub/blog/overcoming-challenges-in-the-fintech-market-to-achieve-maximum-roi/#:~:text=You%20can%20make%20the%20fintech,task%20for%20many%20financial%20organizations>
6. რიდერი, ფინანსური ტექნოლოგიები, ავტორები: თ.გუგეშაშვილი; ი. კოპალიანი.
7. Introduction to Financial Technology (Complete Technology Guides for Financial Services) 1st Edition. ავტორი: Roy S. Freedman.
8. Financial technologies' impact on the development of banking. ავტორები: Ya. A. Shmuratko; S. A. Sheludko. 2019.